ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო საათობრივი დატვირთვის მინიმალური ოდენობისა და ვიდეო-ლექციების ჩაწერის სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო საათობრივი დატვირთვის მინიმალური ოდენობისა და ვიდეო-ლექციების ჩაწერის სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრის წესი თანდართული რედაქციით (დანართი).
2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი 2011 წლის 18 აგვისტოს №9 სხდომაზე წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული (2011 წლის 18 ივლისს №52 სხდომის ოქმით აკადემიური საბჭოს მიერ მოწონებული) ,,სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო საათობრივი დატვირთვის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი".

დანართი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო საათობრივი დატვირთვის მინიმალური ოდენობისა და ვიდეო-ლექციების ჩაწერის სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო საათობრივი დატვირთვისა და სხვა პირობების განსაზღვრის მიზნით (სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორებისთვის), განისაზღვროს შემდეგი კატეგორიის კონტრაქტები:

ა) სრული პროფესორისთვის:

1. სრული/უვადო
2. სრული/უვადოზე ორიენტირებული II დონის კონტრაქტი
3. სრული/უვადოზე ორიენტირებული I დონის კონტრაქტი
4. სრული/ვადიანი (ხელფასის მაქსიმალური რაოდენობა კვირაში 8 საათის ჩატარების პირობებში შეესაბამება სრული პროფესორის საშტატო ერთეულზე განსაზღვრული სარგოს მინიმალურ ოდენობას; 8 საათზე ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში, ხელფასი დაანგარიშდება სრული პროფესორის მინიმალური სარგოდან-1733 ლარიდან-პროპორციულად).
5. სრული/სპეციალური კონტრაქტი (ასეთი ტიპის კონტრაქტი უფორმდებათ უცხოელ, უცხოეთში მყოფ ან უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პროფესორებს, ვინაიდან მათი დასაქმების სპეციფიკა განსხვავდება სხვა ტიპის კონტრაქტებისგან კონკრეტული მიზეზების გამო).

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის:

1. ასოცირებული/უვადოზე ორიენტირებული II დონის კონტრაქტი
2. ასოცირებული/უვადოზე ორიენტირებული I დონის კონტრაქტი
3. ასოცირებული ვადიანი (ხელფასის მაქსიმალური რაოდენობა კვირაში 10 საათის ჩატარების პირობებში შეესაბამება ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეულზე განსაზღვრული სარგოს მინიმალურ ოდენობას; 10 საათზე ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში ხელფასი დაანგარიშდება ასოცირებული პროფესორის მინიმალური სარგოდან-1467 ლარიდან-პროპორციულად).
4. ასოცირებული/სპეციალური კონტრაქტი (ასეთი ტიპის კონტრაქტი უფორმდებათ უცხოელ, უცხოეთში მყოფ ან უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პროფესორებს, ვინაიდან მათი დასაქმების სპეციფიკა განსხვავდება სხვა ტიპის კონტრაქტებისგან კონკრეტული მიზეზების გამო).

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის:

1. ასისტენტი/ უვადოზე ორიენტირებული I დონის კონტრაქტი
2. ასისტენტი ვადიანი (ხელფასის მაქსიმალური რაოდენობა კვირაში 12 საათის ჩატარების პირობებში შეესაბამება ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეულზე განსაზღვრული სარგოს მინიმალურ ოდენობას; 12 საათზე ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში ხელფასი დაანგარიშდება ასისტენტ-პროფესორის მინიმალური სარგოდან - 1333 ლარიდან-პროპორციულად).
3. ასისტენტი / სპეციალური კონტრაქტი (ასეთი ტიპის კონტრაქტი უფორმდებათ უცხოელ, უცხოეთში მყოფ ან უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პროფესორებს, ვინაიდან მათი დასაქმების სპეციფიკა განსხვავდება სხვა ტიპის კონტრაქტებისგან კონკრეტული მიზეზების გამო).

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა უნდა ჩაწერონ თავიანთი სასწავლო თეორიული კურსებისათვის ვიდეოლექციები (მინიმუმ 5 ლექცია თითოეული კურსისათვის. ერთი ლექციის ხანგრძლივობა - 40-60 წუთი).

ა) გამონაკლისს წარმოადგენს გარკვეული გარემოებების არსებობისას უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანსა და პროფესორებს შორის კონკრეტული შეთანხმება ვიდეოლექციების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობების განსაზღვრის შესახებ ამ წესით გათვალისწინებული ვიდეოლექციების მინიმალური ოდენობის გაუთვალისწინებლად.

ბ) თეორიული კურსებიდან შესაძლებელია არ ჩაიწეროს შესავალი კურსები, რომლებსაც უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს სწავლების პირველ წელს. ამ შემთხვევაში ეს კურსი (ან კურსები) ჩაითვლება დატვირთვაში და გამოიქვითება ჩაწერის ვალდებულებიდან. თუმცა, პროფესორს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ჩაწეროს აღნიშნული კურსი.

გ) თუ პროფესორები კითხულობენ შესავალს თანამედროვე აზროვნებაში, მათ საათობრივად გამოექვითებათ ჩაწერის დატვირთვა. თუ პროფესორების სალექციო დატვირთვა ამ შემთხვევაში არ აღემატება 5 ლექციას, შესაძლებელია მათი ჩაწერა.

დ) თუ პროფესორები პრაქტიკულ სალექციო კურსებსაც კითხულობენ, მათი ვიდეო-ჩაწერის დატვირთვა განისაზღვრება მათ მიერ წაკითხული თეორიული კურსების რაოდენობით.

ე) ჩაწერილი ლექციების საათები გამოიქვითება პროფესორის აუდიტორიაში მუშაობის საათებიდან (მაგ.: თუკი თეორიული კურსის ლექციების მინიმალური რაოდენობაა (10) ჩაწერილი, პროფესორს აუდიტორიაში მუშაობისათვის რჩება 20 საათი).